



ქართული
ბიბლიოთეკა



ურდუპუპი უჩოს
უჩოთინოტე
ჩუენი
სულსის
ღუ ჩუენი
პუტოტოს!

ISSN 0130 — 1624

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

№ 11 1982 წ.



ლევან ილია ძე ზემეხვი



მ ი მ ა რ ტ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიდი საქმის ერთგული განმგრძობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვისაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომის შემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებიცაა. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერჯითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიდი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარბანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეკუთვნის უთვისაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

წარუვალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უკუგდების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდა მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სანამ ლეონიდ ილიას ძის გული ძეგრდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყრელად დაკავშირებული. კომუნისტთა, ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდა ჩვენი მწუხარება. ამ გლოვის უამს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირავებთან სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ხალხს სჭერა პარტიის, მისი მძლავრი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გულით უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოვიპოვეთ, საიმედო ხელშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებული არიან სკკპ XXIII-XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის

ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე ვლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულიცვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური წრთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ხალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა უმიზნო ხარჯვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი ხვალისდელი დღის უუჭურვარსკვლავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიანი თანაარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ. მაგრამ ეს ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დავიცვათ მშვიდობა. ყოველ ღონეს ვიხმარებთ, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა საბჭოთა ქვეყანას მოუშაღებელს არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა იცოდეს: მას გარდაუვალად ელის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდიდეს სიფხიზლესა და თავდაჭერაობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოდებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან ააცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოდებს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, ყველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს ყველა პათიოსანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამონატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეკუთვნის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიაჩნია თავის ნაცად კოლექტიურ ბელადად, ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალისჩინოვით უფრთხილდება მშრომელთა ნდობას, დღენიდავ განმტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების ყოველი შემობრუნების დროს, ყოველი განსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმალღეზე რჩება. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთამავლებელი მაგალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოიჩინენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შემოქმედებით შრომით უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

საქართველოს
პარლამენტის
პრეზიდიუმი
გ ი მ ა რ ტ ვ ა



საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1982 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის განერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებმა ლეონიდ ილიას ქა ბრეჟნევის ხსოვნას პატივი სცეს წუთიერი მწუხარე დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მკიფა დანაკლისი განიცადა. გარდაცვალებულ კომუნისტურ პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეული მოღვაწე, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ლეონიდ ილიას ქა ბრეჟნევა, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის წევრი იყო 50 წელზე მეტ ხანს, აქედან 18 წელს — მისი ხელმძღვანელის პოსტზე, უდიდესი წვლილი შეიტანა პარტიის რიგების მოწოდებით, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. უაღრესად დიდია მისი როლი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში. ლეონიდ ილიას ქა ბრეჟნევის სახელი, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიადი მიღწევები, — ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, ჩვენი სამოქმედო სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის აღდგენა, კოსმოსის კვლევა, ყველა წარმატება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის გან-

ვითარებაში, სამუდამოდ შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიადი სამოქმედო ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავესა და ახლოებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩერნომეომ. მან წამოაყენა ნინადავა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განერალური მდივნად აირჩიონ ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის განერალური მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი იური ვლადიმერის ქა ანდროპოვი.

შემდეგ პლენუმმა გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. მან გულითადი მადლობა მოახსენა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დიდი ნდობისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის განერალური მდივნის პოსტზე არჩევისათვის.

ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღუთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტს, კომუნისტურ პარტიას, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოახმარს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას, მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, მთელი ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის ღრუს ხორციელდებოდა.

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ჩვენმა პარტიამ და ქვეყანამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. შეწყდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩეული მოღვაწის, მგზნებარე კომუნისტის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის — ლეონიდ ილიას ქა ბრეჟნევის გულის ძვერა.

გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენს რიგებს გამოაკლდა ამხანაგი და მეგობარი, დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი, გამგები და კეთილმოსურნე, გულისხმიერი და ღრმად პუმიანური ადამიანი. საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, უკომპრომისო მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ბრძნული ნინდახედულება პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მიღებაში, პრინციპულობა და გამბედაობა ისტორიის მკვეთრ ცვლილებათა წამს, ადამიანებისადმი უცვლელი პატივისცემა, გულისხმიერება და ყურადღება — აი ის შესანიშნავი თვისებები, რომლებსთვისაც

აფასებდნენ და უყვარდათ ლეონიდ ილიას ქა პარტიასა და ხალხს.

გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი სცეთ ლეონიდ ილიას ქა ბრეჟნევის ნათელ ხსოვნას.

ლეონიდ ილიას ქა ამბობდა, რომ მისი ცხოვრების თითოეული დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ქვეყანა. და ეს მართლაც ასე იყო.


ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღდგენა, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევა — ყველა ეს დიადი ნიშანსვეტი საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის გზაზე, ამავე დროს კომუნისტ ლეონიდ ილიას ქა ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებია.


ლეონიდ ილიას ძის სახელთან და საქმეებთან განუხრელად არის დაკავშირებული დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძლიერების ზრდა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, მსოფლიო კომუნისტური მოძ-

რაობის აქტიური მონაწილეობა ჩვენს ეპოქაში კაცობრიობის ნინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში, მსოფლიოში ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის მთელი ძალების სოლიდარობის განმტკიცება. ლეონიდ ილიას ქა ბრეჟნევი მარად ემასსოვრება მადლიერ კაცობრიობას როგორც თანამიმდევრული მგზნებარე და დაუცხრომელი მებრძოლი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმ მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რომელიც კაცობრიობას შეექმნა.

კარგად ვიცით, რომ მშვიდობას იმპერიალისტებს ვერ გამოსთხოვ. იგი უნდა დავიცვათ მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებული ძალების უწყვეტ ძლიერებაზე დაყრდნობით. როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, როგორც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ქა ნინადავ უთმობდა ყურადღებას იმას, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ყოფილიყო.

აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბნენ ისინი, ვინც





მიმართა გიამბოთ შიხი ბიოგრაფია. იური ვლადიმერის ძეს კარგად იცნობენ პარტიასა და ქვეყანაში როგორც ლენინური პარტიის საქმისათვის თავდადებულ, ერთგულ კომუნისტს, როგორც ლეონიდ ილიას ძის უახლოეს თანამებრძოლს.

იური ვლადიმერის ძეს აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იდეოლოგიის დარგში მრავალმხრივი საქმიანობის გამოცდილება. იგი იყო კომკავშირული ხელმძღვანელიც და დიდი პარტიული მუშაკიც, დიპლომატიც. იგი საქმით გაისარჯა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ლეონიდ ილიას ძე დიდად აფასებდა მის მარქსისტულ-ლენინურ მრწამსს, პარტიულობას, ფართო გონებრივ პორიზონტს, მის შესანიშნავ საქმიან და ადამიანურ თვისებებს. პოლიტიკურს ყველა ნევრს მიაჩნია, რომ იური ვლადიმერის ძემ კარგად შეითვისა ხელმძღვანელობის ბრეჟნევისეული სტილი, ხალხის ინტერესებისათვის ბრეჟნევისეული ზრუნვა, კადრებისადმი ბრეჟნევისეული დამოკიდებულება, მტკიცე გადაწყვეტილება მთელი ძალებით წინააღმდეგ აგრესორთა ხრიკებს, დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა.

იური ვლადიმერის ძისათვის დამახასიათებელია პარტიული თავმდაბლობა, სხვა ამხანაგე-

ბის აზრის პატივისცემა და კოლექტიური მუშაობისადმი მისწრაფება. პოლიტიკურს ერთსულოვანი აზრით, ამხანაგი ანდროპოვი ღირსია ცენტრალური კომიტეტის წევრობის, პარტიის წევრობის.

ძვირფასო ამხანაგებო! თავს ვხრით რა ლეონიდ ილიას ძის ნათელი სსოვნის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ დაუცხრომლად განვაგრძობთ ჩვენს აღმშენებლობით მუშაობას. ყველაფერი, რის დამთავრებაც ვერ მოასწრო ლეონიდ ილიას ძემ, ყველაფერი, რაც მისი ხელმძღვანელობით დასახა პარტიამ აღსრულდება.

იური ვლადიმერის კე ანდროპოვი

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი დაიბადა 1914 წლის 15 ივნისს რკინიგზელის ოჯახში სტავროპოლის მხარის სადგურ ნაგუტსკაიაში. აქვს უმაღლესი განათლება. სკკპ წევრია 1939 წლიდან.

თექვსმეტი წლის კომკავშირელი იყო, როცა ი. ვ. ანდროპოვმა მუშად დაიწყო მუშაობა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ მოზდოკში. შემდეგ მისი შრომითი ბიოგრაფია გაგრძელდა ვოლგის სანაოსნოს გემებზე, სადაც მუშაობდა.

1936 წლიდან ი. ვ. ანდროპოვი კომკავშირულ სამუშაოზეა.

იგი არჩეული იყო იაროსლავლის ოლქის ქალაქ რიბინსკის სანაოსნო ტრანსპორტის ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად. მალე დააწინაურეს სრულიად საქავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგის თანამდებობაზე ქალაქ რიბინსკის ვოლოდარსკის სახელობის გემთსამუნში. 1938 წელს იაროსლავლის

ოლქის კომკავშირელებმა ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სრულიად საქავშირო ალკკ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1940 წელს ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ კარელიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ი. ვ. ანდროპოვი კარელიაში პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. 1944 წელს, ფაშისტ დამპყრობთაგან პეტროზავოდსკის განთავისუფლების შემდეგ, ი. ვ. ანდროპოვი პარტიულ სამუშაოზეა. მას ირჩევენ პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად, 1947 წელს კი კარელიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1951 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გადაჰყავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში და ნიშნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად, შემდეგ კი ქვეგანყოფილების გამგედ.

1953 წელს პარტიამ ი. ვ. ანდროპოვი დიპლომატიურ სამუშაოზე გაგზავნა. რამდენიმე წელს იყო იგი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1957 წელს ი. ვ. ანდროპოვი დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ.

პარტიის XXII და მომდევნო ყრილობებზე ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1962 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1967 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე წლის ივნისში იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატად.

1982 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1973 წლის აპრილიდან ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრია.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით იღვწოდა ი. ვ. ანდროპოვი, ვლინდებოდა მისი ერთგულება ლენინის, პარტიის დიადი საქმისადმი. იგი მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ი. ვ. ანდროპოვს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს — 1974 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და წითელი დროშის ორდენებით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№11 (551) ნოემბერი, 1982

ეურნალი გამოდის 1928 წლიდან

უძველესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერატორი-სამხატვრო შურონალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საპარტველოს კა ტა-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:

- | | |
|--------------------------------|----------------------|
| გულნარა ბახტაძე | სერგო ღურშიძე, |
| (პ/მგ. მდივანი), | ოთარ თუჩია, |
| ნათელა გიორგობიანი, | რევაზ მარგინი, |
| თენგიზ გომოლაძე, | დინარა ნოღია |
| (მთავარი რედაქტორის მოადგილე), | (მხატვარ-რედაქტორი), |
| ოთარ დემეტრაშვილი, | ლადო სულაბერიძე, |
| გურამ დოჩანაშვილი, | ილია ტაბაღა, |
| | უჩა ჯაფარიძე. |



ეროვნული
გენერალური



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური
კომიტეტის გენერალური მდივანი
იური ვლადიმერის ძე ანდროკოვი



საქართველოს
კომუნისტური
პარტია

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის ყველა უკრძელს

საქვ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მუშაკების მუშაებს, მეთამბაქოელებს, სოფლისა და წყალთა მუშაკების სპეციალისტებს, დამამზადებელი, საბრუნავი და გადასამზავებელი საწარმოების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომპავერული ორგანიზაციების მუშაკებს სახელმწიფოსათვის გარცვლელისა და ხარისხობანი ჩაის ფოთლის მიყიდვის გაზაგების ნარმატებით შესრულებას.

საქართველოს მთავრობის მიერ აღიწერის რთულ პირობებში მოქმედებთ რეკონსტრუქციის რეკონსტრუქციის ჩაის ფოთლი — 535 ათასი ტონა. ეს ნარმატება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიხედვით შესრულებას.

ოგის, მთავრობის, მუშაკების სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა გაზრდილი ოსტატობის, აბრუნავრეველ კომპლექსის ყველა მუშაკის თავდადაბული შრომის შედეგია.

საქვ ცენტრალური კომიტეტი გამომთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, სოფლის მუშაკები კიდე უფრო მტკიცე ენერგიით გააჩაღებან სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას, უზრუნველყოფან სოფლის მუშაკების მთელი პროდუქციის ნარმატების შედეგად ზრდას, მიღწევენ ახალ ნარმატებას საქვ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

საქვ ცენტრალური კომიტეტი

ასეთია ჩვენი პრეტსულპვანი მისწრაფება

საქვ ცენტრალური კომიტეტის კოლტიბიუროს წევროგის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შვიპარდნაძის სიტყვიდან საქართველოს შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საზვიომო მიტიწგვა

ამხანაგებო!

დღეს მიტიწგვზე შეგვკრიბა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელმა წერილმა. მაგრამ ჩვენი სიხარული გარკვეულწილად გაანელა იმან, რომ რამდენიმე დღის წინ ჩვენს რიგებს გამოაკლდა ლეონი ილიას ძე ბრეწენევი. გარდაიცვალა თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური მოღვაწე, ჩვენი დროის გამოჩენილი რევოლუციონერი, კომუნისტის დაუცხრომელი მშენებელი, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი, ლენინის დიდი საქმის ერთგული განმგრძობი. მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა თავს ხრიან ლეონი ილიას ძე ბრეწენევის ხსოვნის წინაშე. მიმივა დიდი დანაკლისის გამო გამოწვეული გულისტკივილი, უსაზღვროა ხალხის გლოვა.

ლეონი ილიას ძე ბრეწენევის სახელი და სახე ახლობელი, ძვირფასია საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მშრომლისათვის. ყველა ჩვენგანს გვახსოვს მისი ჩამოსვლა თბილისში. არასოდეს არ დავივიწყებთ მის მონაწილეობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავის დღესასწაულში გასული წლის მაისში, როცა ლეონი ილიას ძემ თქვა, რომ საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმატცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურკაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟაკობას და ერთგულ მეგობრობას.

დიახ, ამხანაგებო. ბევრი, ძალიან ბევ-

რი რამ აკავშირებს ლეონი ილიას ძის სახელსა და საქმეებს საქართველოსთან, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციასთან, კომუნისტებთან, ყველა მშრომელთან. და ამიტომაც გვიჭირს იმის შეგნება, რომ დღეს იგი აღარ არის ჩვენთან, რომ იგი გარდაიცვალა.

მაგრამ ამ დიდი დანაკლისის გამო გამოწვეული გულისტკივილი და მწუხარება, რომელიც მთელმა ჩვენმა პარტიამ და მთელმა ხალხმა განიცადეს, ჩვენ ვერ მოგვადუნებს.

შრომაში, ისევე როგორც ბრძოლაში, როცა მწყობრიდან გამოდის მდროშე, დროშას სხვა აიტაცებს ხოლმე და წინ წინ წაიღებს. და ეს დროშა, რევოლუციის წითელი დროშა, ფრიალებს მეწინავეთა კოლონების თავზე. იგი გვიხმობს, იგი გვრწმუნებს კომუნისტური მშენებლობის ახალი მწვერვალების, ახალი მიწების დასალაშქრავად!


საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ისევე როგორც მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა, გამოხატავენ ერთსულღვან, საყოველთაო-სახალხო მოწონებას საქვ ცენტრალური კომიტეტის რეგარეშე ნომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისას, რომელმაც ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობა მიენდო გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალ-

საჩინო მოღვაწეს, რომელსაც პარტიული და სახელმწიფო, ორგანიზატორული და პოლიტიკური, იდეოლოგიური, აღმზრდელი, დიპლომატიური მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება აქვს, ლეონი ილიას ძე ბრეწენევის უახლოეს თანამებრძოლსა და მეგობარს.

არის რა ორ ათწლეულზე მეტი ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ბირთვი, რომელიც ლეონი ილიას ძე ბრეწენევის კეთილნაყოფიერი გავლენით ჩამოყალიბდა, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე, თავისი პოლიტიკური, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწეობის ყველა პერიოდში დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც ყველა სხვა რესპუბლიკის კომუნისტების, საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმეებისადმი, მუდამ ეხმარებოდა მათ თავისი რჩევა-დარიგებითა და რეკომენდაციებით ჩვენს გზაზე წარმოქმნილ სიძნელეთა დაძლევისათვის, ნაკლოვანებათა, ნეგატიურ მოვლენათა ამოძიკვისათვის, ჯანსაღი, წმინდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

დღეს განსაკუთრებული მადლიერებით გვიწმინდა აღვნიშნოთ, ის ღრმა პატივისცემა, რომელსაც ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი ყოველთვის იჩენდა და იჩენს ჩვენი ხალხის რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციებისადმი, იმ პოზიტიური ცვლილებებისადმი, რომლებიც ხდება საქართვე-



ველოს კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში.

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის გამოსვლას სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე, რომელიც განმსვლავლია იმ აზრით, რომ ჩვენი პარტიის ლენინური კურსი მემკვიდრეობითა და კვლავინდებურად უდიდესი ყურადღება დაეთმობა ხალხის კეთილდღეობას. ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვაში კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისადმი ნათქვამია, რომ საბჭოთა ადამიანებმა კარგად იცნან: ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა, რომლითაც მოვიპოვეთ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, საიმედო ხელშია!

ჩვენი ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია ნებისმიერ ვითარებაში, ყოველგვარი განსაცდელის უამ

თავისი ისტორიული მიზნის სიმაღლეზე რჩება.

ამ პასუხსავე პერიოდში საქართველოს კომპარტია, ისევე როგორც ჩვენი ლენინური პარტიის ყველა რაზმი, კიდევ უფრო აკავშირებს თავის რიგებს, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გარშემო. საქართველოს კომუნისტებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი და მზად არიან გამოიჩინონ მაღალი შეგნება და ორგანიზებულობა, მიაღწიონ ახალ წარმატებებს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, გაზარდონ თავიანთი წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში, კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებაში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებაში.

ასეთია ჩვენი ნება, ასეთია ჩვენი ერთხლოვანი მისწრაფება!

და იმის საწინდარი, რომ ჩვენი გადაწყვეტილება განხორციელდებოდეს, არის რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზა-

ციის შეკავშირება, დარაზმულობა და დისციპლინიანობა, მათი ერთიანობა და მონოლითურობა, ჩვენი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ვიმოქმედებთ უფრო თამამად, ვიმუშავებთ კიდევ უფრო შეუპოვრად ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებლად, მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნისტების გამარჯვებისათვის! მაშ, მოდიეთ, ამხანაგებო კიდევ უფრო ავამაღლოთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი!

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით, საქართველოს ყველა კომუნისტის სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვა ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს და მათს მეთაურს იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის, რომ საქართველოს კომპარტია ყოველთვის იყო და იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე, საიმედო დასაყრდენი, კომუნისტთა დიადი ლენინური არმიის მოწინავე მებრძოლი რაზმი!

ლენინის ორდენი — თბილისის დროშაზე

საქართველოს დედაქალაქის დროშაზე ლენინის ორდენი აკი-აფდა. ეს ისტორიული მოვლენა მოხდა 1982 წლის 29 ოქტომბერს, 12 საათსა და 50 წუთზე. მილიონიანი ქალაქისათვის სასიხარულო წამებში ჩაქსოვილია ყველა თაობის მოქალაქეების რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი გმირობის ათწლეულები. პატრიოტ ქალაქს, ინტერნაციონალისტ ქალაქს, მშრომელ ქალაქს, სამუდამოდ დაამახსოვრდება ეს დღე.

თბილისელთა დღევანდელი გამარჯვება — ეს არის კონკრეტული საქმიანი პასუხი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებაზე. მასშტაბური პერსპექტივები დაუსახეს მათ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

ორდენოსანი ქალაქის საუკეთესო წარმომადგენლებმა სიამაყით განაცხადეს ეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დემოკრატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომის ტრიბუნიდან. იგი გაიმართა 29 ოქტომბერს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. აქ შეიკრიბნენ პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. დარბაზში იყვნენ პარტიისა და შრომის ვეტერანები, ქალაქის წარჩინებული ადამიანები, თბილისთან შეჯიბრებაში ჩაბმული, დამოყვრებული ქალაქებიდან — ბაქოდან, ერევნიდან, სევრდლოვსკიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა. სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ.

სხდომის მონაწილეთა ტამის გრილში კ. უ. ჩერნენკომ სამ-

შობლოს მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი მიაბნია თბილისის დროშას.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიართვეს თბილისის საპატიო მოქალაქის სამახსოვრო ნიშნები.

თბილისის მშრომელთა სახელით კრებაზე გამოვიდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი.

სალამოზე გამოვიდნენ თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. რაზმაძე, საბჭოთა კავშირის გმირი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ი. ციციშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი მ. სოცკოვი. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას საპატიო ჯილდოსათვის და აღუთქვეს, რომ თბილისის დროშაზე აკიაფებული ლენინის ორდენი იქნება მძლავრი სტიმული, რათა ქალაქის მშრომელებმა კიდევ უფრო გაზარდონ მეცადინეობა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა უთუო განხორციელებისათვის.

თბილისელებს სამშობლოს საპატიო ჯილდო გულითადად მიულოცეს პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხუსეინოვმა, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ნერსესიანმა, სევრდლოვსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. შამანოვმა. მათ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს უსურვეს ახალი დიდი მიღწევები სამშობლოს სადიდებლად, წარმატებანი სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების რეალიზაციაში.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

თბილისის საპატიო მოქალაქეები

ა. წ. 30 ოქტომბერს თბილისობაზე, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ხესილია თაყაიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე, ელექტროავტონომეკანოტექნიკის ქარხნის ხარატი გივი გაჩეჩილაძე, თბილისის მგზნებარე მომღერალი, პოეტი კარლო კალაძე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, სომხეთის მე-

ცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვიქტორ ამბარცუმიანი, აზერბაიჯანელი დირიჟორი და კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ნიაზი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ირაკლი თოიძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ევგენი პრიმაკოვი.



▲ ალმა-ათა, სასტუმრო „უაზახისტანი“.



ქართული
ლიტერატურა

ყაზახეთი

ჯუზან მულდაგალიევი

ყაზახეთის სახალხო პოეტი

ეკიბასტუზი


ქალწულს სახელი
როდი გახდის მზეთუნახავად,
არც კლდე ასულა
სახელით ცამდის...
წოდებულია მადლიანად მიწა ყაზახთა
მხოლოდ ორიოდ
ღვთიური მადლით.

შევ ოქროს — „დევემირს“
სამყოფელი აქ აქვს, ღმერთმანი,
ცეცხლი ჩემს თვალწინ დადნობას იწყებს...
რისი მალარო! —

გადმოვარცხნის მიწის ზედაპირს
და ვაგონს ავსებს ფოლადის ციცხვი.

აქ ყველა კუნჭულს სიმღერების ჩქერი ეღვრება,
ჰანგი ჩაგიდის
სულშიც და თვალშიც...
და შენ გგონია,
მუშა კაცი თავის ფეხებთან
მზის სხივს აგროვებს
და არა ნახშირს.

თარგმნა ბათუ დანელიამ.




▲ ბუხტარმინსკის ჰიდროელექტროსადგური.



გაუგარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური

რევოლუციის 65-ე წლისთავს!



ეროვნული
გეოგრაფიული

ყაზახეთის სსრ

ფართობი — 2 მილიონ 717,3 ათასი კვადრატული კილომეტრი; მოსახლეობა — 14 მილიონ 858 ათასი კაცი; ალმა-ათის მოსახლეობა — 1 მილიონზე მეტი. რესპუბლიკაში 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების ადამიანი ცხოვრობს.

სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1940-1981 წლებში 30-ჯერ გაიზარდა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება — 6,5-ჯერ.

ელექტროენერგიის წარმოება — 99-ჯერ.



ორგზის სოციალისტური შრომის გმირი 85 წლის მწყემსი ჯაზილბეკ კუანიშბაევი და სოციალისტური შრომის გმირი, მწყემსი შოთან შარიბბაევი.

გულუბრყვილო მოლა

ყაზახური ხალხური ზღაპარი

ადრეული გაზაფხული იყო. ელდარ ქოსას ცხენი არ ჰყავდა, ყანა რომ მოეხნა. სახლის წინ გაოგნებული იჯდა და არ იცოდა, რა ექნა. ამ დროს შენიშნა ბედაურზე ამხედრებული მოლა, რომელიც ქორწილიდან ბრუნდებოდა. იგი ფიცხლად ნამოვარდა და გვერდზე ნახრილი უბადრუკი ქოსის ფარღალა კედელს მხრებით შეუდგა.

— ეი, ხალხნო, მიშველეთ! — აყვირდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა მოლამ, ცხენიდან ჩამოხდა და მიუახლოვდა.

— ო, ბრძენო მოლა, რა იქნება, ცოტა ხანს გეჭიროს ეს კედელი. ცხენს მოვაჯდები, ბოძს მოვიტან და შევეყენებ, სანწყლებს სახლი თავზე ექცევათ. იჩქარე, თორემ მეც ქვეშ მომიყოლებსო.

მოლამ დაუჯერა. ნამონოლილ კედელს მხრები შეაბჯინა.

ელდარ-ქოსა მოლას ცხენს მოახტა, ყანაში გავიდა და ხვნას შეუდგა.

— მოდი, შე ოჯახქორო! — მოლამ დაუძახა. — მხრები ჩამომანყდა, რაღას აყოვნებ!

გავიდა ერთი საათი, გავიდა ორი საათი, გავიდა სამი საათი, მოლა კი ისევ იქ იდგა და მხრებით კედელი ეჭირა.

გამვლენი ანუგეშებდნენ: ალაპი იყოს შენი შემწეო!

მოლა მიუგებდა: რა ტვინი ნაილეთ, რა დროს ეგაა, ხედავთ, სახლი ინგრევა!

გუნებაში ეცინებოდათ მის ასეთ მიამიტობაზე.

მოლა მთელი დღე ასე იდგა და მხრებით კედელი ეჭირა, სანამ ელდარ ქოსა ხვნას მორჩებოდა.

თარგმნა ვამიკონ თაქორიანმა.






ქართველი
წიგლიერთა
კავშირი



უზბეკეთი

ტაშკენტი სასტუმრო „მოსკოვი“



მასხუმა აჰმადოვა

მშვენიერი ხედი შევარჩიე. მზე ჩადიოდა. გახურებული თონე ცაზე ეკიდა. მის გარშემო ციცებლოკიდებულ ღრუბლებსაც ალისფერი დასდებოდათ. ირგვლივ შესანიშნავი სანახაობა გადაშლილიყო. მარჯვნივ მოლით შეფენილი ფერდობები განოლილიყვნენ, შორიდან ნებიერად აშოლტილი მთები ამაყად იყურებოდნენ. ახლად აბიზინებულ მწვანე მდელოზე გრილი ნიავი დაჰქროდა და ჩიტებიც არემარეს საამო ჭიჭიკით იკლებდნენ. ერთი სიტყვით, ირგვლივ იდუმალი სიხარული სუფევდა, მაგრამ ყოველივე ამას თან ახლდა რალაც უჩვეულო და საოცარი სევდა.

გაოგნებულმა გადაეწყვიტე მზის ჩასვლამდე არსად წახსულიყავი. დიდხანს განცვიფრებული შეეყურებდი ბუნების ნიაღვრს და მსურდა, რომ მისთვის მაშინვე ხორცი შემეხსა, მაგრამ ხელები... ხელები არ მემორჩილებოდნენ.

ამასობაში ჩამავალ მზესაც სხივები გაუმკრთალდა. დღე ინურებოდა და ბუნებაც ათასნაირ ფერში ეხვეოდა. ჩიტები ისევ ჭლურტულბდნენ, ჭრიჭინებმაც გაუთავებელი სიმღერა წამოიწყეს. მეც იქვე, მწვანე ხასხასა ბალახზე, სამუშაო ჩანთა და საღებავები ფრთხილად ჩამოვდე და ძალაგამოლეული ულონოდ მივეგდე მოლზე.

უცრად, მოშორებით, დაახლოებით ორმოციოდე ნაბიჯზე, თვალი მოვკარი ცხრა-ათიოდე წლის ბიჭს.

სიხარულის შერი

პოეზიის

ხელები მუხლებზე შემოეჭდო და უხალისოდ იყურებოდა აქეთ-იქით, ბიჭმაც შემამჩნია. მზე ამასობაში დაბლა-დაბლა დაეშვა, თანდათან მიახლოვდებოდა და ჩასასვლელად ემზადებოდა.

— ხვალდან... ხვალდან დავიწყებ... დიდიდანვე მოვალ, ასე ჯობია.

ასეა, თუ საქმე არ გამოგვდის, ხვალინდელი დღის იმედით ვცოცხლობთ. სხვა რა გზა მქონდა?! ვიჯექი და იქაურობით ვტკბებოდი. ბიჭს გაეძახე:

— ეპეი, ბიჭო!

მოიხედა, გაოცებულმა უკმეხად შემომხედა და რა გინდაო თვალებით მანიშნა. შევცბი, რა მეთქვა აღარ ვიცოდი.

— ბიჭო, აქ რას აკეთებ?

— თქვენ თვითონ რას აკეთებთ ოფა?! კითხვაზე კითხვა შემომადგება და ბავშვის დაძაბული მზერა მაშინვე უკვალოდ გაქრა. ძალზედ წკრილა ხმა ჰქონდა.

— მე? მე, სურათს ვხატავ.

ბიჭი წამოხტა და შურდულივით გამოქანდა ჩემსკენ.

— აბა, ერთი მაჩვენე... ჰმ, ესეც თუ საქმეა და...

1 ოფა — თავზიანი მიმართვა ქალისადმი პატვისცემის გამოსახატვად.

ბავშვს ჩავაშტერდი, მხატვარს უთუოდ დაინტერესებდა, ისეთი არსება იყო. გეგონებოდათ, თქვენს წინაშე დიდი ხელოვანი დგას და შორიდან ნახატს ჩაძიებით ათვალთვლებსო.

— რას ხატავთ?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. პირი გავაღე და პირველივე სიტყვა, რომელიც ენაზე მომადგა, წამოვიძახე:

— სიხარულს!

ბიჭის შავ თვალეში განცვიფრება ამოვიკითხე. დაიბენი, შორიდან მოვუარე და ახსნა-განმარტება დაეწყო:

— იცი, ეს რას ნიშნავს? როდესაც ბუნებას, ადამიანს, და საერთოდ ყოველგვარ სულიერ არსებას უხარია და... — ხმა ამიკანკალდა, — აი, მაგალითად, ჩიტების გალობა, ნაკადულების ჩუხჩუხი, ქარის დუღუნი...

ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ველავდი. ძალიან მინდოდა, ბიჭსაც შეეგრძნო ყოველივე ეს.

ბავშვმა მოზრდილებისათვის ჩვეული სულგრძელობით მომისმინა და გაოცებულმა მხრები აიჩეჩა.

— რაო, სიხარულსაც ფერი აქვს?

თანდათან მიტოვდებოდა. სული შემეხუთა, ამ ჭეშმარიტებაზე არასოდეს მეფიქრა. საოცარია! ისე კი მსურდა, სიხარული დამეხატა!

უცრად თავში გამიელვა: რაც არის, არის! ბუნება ხომ დღეში რამდენჯერმე იცვლის სამოსელს! როცა მას უხარია გულსაც უცნაური შეგრძნება ეუფლება!

ვცილობდი, როგორღაც ამეხსნა ბავშვისთვის, მაგრამ ბიჭს თვალები გაფართოვებოდა და ჩაფიქრებული მომჩერებოდა. უკვე ბინდებოდა, საღებავები ავიღე, წასასვლელად მოვემზადე.

— ხვალაც მოხვალთ, ოფა? — დაარღვია სიჩუმე ბიჭმა.

— ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც.

— მეც.

— შენ რაღა გინდა?!

დუმილი.

— ნავიდეთ!

ბიჭს ხმა აღარ ამოუღია, ჩუმად მომდევდა, თან სულ უკან იხედებოდა.

— ვის უყურებ?

კვლავ დუმილი.

ბილივი შარავზას შეუერთდა. ცოტა ხანში სინათლეები აციმციმდა. ბიჭი დამემშვიდობა და სწრაფად გაემურა განიერი ქუჩისაკენ.


დღევანდელი დღე გუშინდელზე ნაყოფიერი გამოდგა. ჩემი თავის კმაყოფილი ვიყავი. ნაცნობი ბიჭი ჩემს პირდაპირ იჯდა და ხმას არ იღებდა. უგუნებოდ მეჩვენა, რომელიღაც ნაცნობ მელიოდის ვლინებდო. მზის ჩასვლის ესკიზს ვაკეთებდი.

— ჩიტები? — შემიკითხა, ბიჭი

— რატომ არ ჩანან საცოდავები?!

მოკლედ, გაგიჟდება კაცი! ჩიტები, მართლაც არსად არ ჩანდნენ,





ტაშკენტი, ხალხთა მეგობრობის მოედანი; სკულპტურული კომპოზიცია, რომელიც დაუდგეს შაახმედ შამახბატოვის ოჯახს; ამ ოჯახმა ხაშაშულა ომის დროს თექვსმეტი უპატრონო ბავშვი იშვილა.

უზბეკეთის სსრ

ფართობი — 447,4 ათასი კვადრატული კილომეტრი;
მოსახლეობა — 16 მილიონ 591 ათასი კაცი.
ტაშკენტის მოსახლეობა — 1 მილიონ 908 ათასი კაცი.
რესპუბლიკაში 122 ერისა და ეროვნების აღამიანი ცხოვრობს. სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1940-1981 წლებში 17-ჯერ გაიზარდა.
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება — 4,6-ჯერ.
ელექტროენერჯის წარმოება — 74-ჯერ.



ცხვრის გადარეკვა.

არც გარშემო და არც სურათზე. მოვიფიქრე, ავიღებ და მეც სხვა მხარეში გადავფარენ. ახლავე შევთხზავ რაიმეს! ამით სრულებით არ ეშლებოდა საქმეს ხელი. მე ვილაპარაკებდი, ხელი კი თავისით იმოძრაებდა. მთავარია გონებამ იმუშაოს... მოულოდნელად უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, ტანმა რალაც ქვეცნობიერად იგრძნო.

— ერთ დღესაც, — დავინწყე თხრობა დამაჯერებელი კილოთი, თან ისე გავერთე, რომ ბიჭს ყურადღებას აღარ ვაქცევდი მისმენდა თუ არა.

— მამა! — მომესმა უეცრად. შევეკრთი, მიმოვიხედე. ბიჭი უკვე

მარჯვნივ მიმავალ ბილიკზე გარბოდა. შორიდანვე მოეკარი თვალი მაღალ, მხარბუჭიან წარმოსადგებ მამაკაცს. „ვიცოდი, მამი, რომ ისევ ამ ბილიკით დაბრუნდებოდი. ვიცოდი, რომ მე და დედას თავს არ დაგვანებებდი! ჩემო მამიკო! მე ყოველ დღე გელოდებოდი, ყოველდღე. მჯეროდა, რომ შენ უსათუოდ დაბრუნდებოდი! მჯეროდა...“

— ფიქრებში ასე მესახებოდა გაქცეული ბიჭის ცხოვრება, — „შენ დაბრუნდი და ყველაფერი ძველებურად იქნება! დედაჩემს ნახეზე ღიმილი გადაეფინება, სულ კარგ გუნებაზე იქნება. შენ კი ზღაპარს მიაშობ! აი, იმ ზღაპარს, მე რომ

მიყვარს. ჰო, ულაცი ცხენის ზღაპარს... არა, მამი?“ — განვაგრძობდი ფიქრს და გულს ვიოხებდი.

ამასობაში ბიჭმა მამასთან მიიბინა. ხელების ქნევით რალაცას უხსნიდა. კაცს კი ბიჭისათვის გრძელი ხელები შემოევლო და ბარბაცით გვერდზე მისდევდა. შორიდან მათი ხმები ოდნეულად მესმოდა.

— მოდი, ბიჭო, ვიმღერო-ოთ! — უდარდელად დაიღრიალა დაბალმა და უხეშმა ხმამ, — ვიმღერო-ოთ!

— ეგ, დღესაც დალიე, არა? დღესაც... მომესმა ტირილნარევი წკრილა ხმა. — შენ რა?! გინდა ბავშვებმა მასხარად ამიგდონ? იცო-

დე, მეც დედაჩემით გავიქცევი სახლიდან!..


— ნავედი-ოთ!.. მოდი, ბიჭო, ვიმღერო-ოთ!

ისე ჩამიარეს, ბიჭს ჩემკენ არც კი მოუხედავს, ყურადღებაც არ მოუქცევია.

მწარედ გამეცინა საკუთარ თავზე. მზე ჩასვლას ეპირებოდა. დაისს ჯერ კიდევ მენამულის ფერი ჰქონდა. ცაზე აშლილ ღრუბლებს, რომლებიც ჩიტებს დამსგავსებოდნენ, სისხლისფერი დასდებოდათ.

ეს იყო და ეს..

უზბეკურიდან თარგმნა აიგულ ცალკალამანიძემ.



ნურეის ლ. ი. ბრენევის სახელობის ჰიდროელექტროსადგური.

ტაჯიკეთი

ტაჯიკეთის სსრ

ფართობი — 143,1 ათასი კვადრატული კილომეტრი.
მოსახლეობა — 4 მილიონ 119 ათასი კაცი.
დუშანბეს მოსახლეობა — 519 ათასი კაცი.
სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1940-1980 წწ.

ბაიზარდა 18-ჯერ.
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება —
4,4-ჯერ.
ელექტროენერჯიის წარმოება — 219-ჯერ.





კარლ მარქსის მოედანი და ბიბლიოთეკა.

დიდსულოვნება

ტაჯიკური ხალხური ზღაპარი

ერთ ბედუინს მკვირცხლი ბედაური ჰყავდა. იგი მეჯინიბე იყო და ცხენს უვლიდა. მთელი თავისი ქონება გაანიავა და ცარიელ-ტარიელი დარჩა. ცხენის გაყიდვა გადაწყვიტა. ათასი ოქროს, ოცი ცხვირისა და ძვირფასი აბრეშუმის ტანსაცმლით დატვირთული ოცი აქლემის ფასი დაადო. დაიფიცა, ნაკლებად არ მიეცემო.

ხანი გამოხდა. ცხენს მყიდველი არ გამოუჩნდა. ამ ამბავმა არაბთა ემირ თოჯულმასოს ყურამდე მიადწია. იფიქრა: სიკვდილის შვილები ვართ, მოდი, გავახარებ გულის ჭიას და ვიყიდო.

რაც საჭირო იყო, მოამზადა, სანდო პირი დაიბარა და უთხრა:

— ყველაფერი მოვახაზირე,

ბედუინთან მიდი და ცხენი მომგვარე.

ემირის კაცმა ფული გამოართვა და ქარავნით უდაბნოსკენ გაემართა. იარა, იარა და ბედუინის ადგილსამყოფელს მიადწია. კარავთან ბოძზე ცხენი ება. მთელი ბანაკი აყრილიყო. ემირის ელჩი თავისი ამალით კარავს მიუახლოვდა, ბედუინს მიესალმა და ეწვია.

ბედუინს არაფერი ჰქონია, ყონალებსთვის პატივი რომ ეცა, ერთადერთი ცხენი დაუკლავს და სტუმრებს მისი ხორციტ გამასპინძლებია.

მეორე დღეს ემირის ელჩი მასპინძელს გამოუტყდა:

— ძმაო, როგორც გავიგეთ, ამ მხარეში საუკეთესო ჯიშის ცხენი იყიდება. ყიდვა გვიინდა. ბედუინმა ერთხანს იყუჩა, შემდეგ დაუმატა:

— მე ვარ მაგ ცხენის პატრონი. წუხელ დაგიკალით და მისი ხორციტ გავიმასპინძლით.

ემირის ელჩი სახტად დარჩა. შემდეგ მასპინძელს მადლობა გადაუხადა, ცხენის საფასური აუნაზღაურა და გზას გაუდგა.

დანიშნულ დღეს ემირი თავის მსლებლებით ელჩის შესახვედრად გამოვიდა. დაინახა, რომ არც ცხენია და არც ქარავანი. ელჩს მიეგებნენ და ქალაქში დაბრუნდნენ. მეორე დღეს ემირმა მოიხზო და უთხრა:

— ძმაო, რა მოხდა, ან ცხენი სადაა, ან ქარავანი?

ელჩმა მიუგო:

— ცისა და მიწის სწორო, უდაბნოში ერთ კარავს მივადექით. იქვე ცხენი ება. მთე-

ლი ბანაკი აყრილიყო, მარტოდ დარჩენილ ბედუინს არაფერი ჰქონია, ჩვენთვის პატივი რომ ეცა, ერთადერთი ცხენი დაუკლავს და მისი ხორციტ გავიმასპინძლებია. დილას გაკუმხილე, ემირისთვის იმ ბედაურის ყიდვა მინდა-მეთქი. ბედუინმა მომიგო: მაგ ცხენის პატრონი მე ვარ. წუხელ აკი დაგიკალით და მისი ხორციტ მიირთვიეთო. გავშრი, ენა ვერ მოვიბრუნე. რას ვიზამდი, ყველაფერი დავუტოვე და წამოვედი.

ემირმა თავი დახარა, შემდეგ წამოიმართა და დასძინა:


— აბა, არ დაგეტოვებინა, სულს გაგაფრთხოვინებდი. ახლა კი ქებას იმსახურებ. აფერუმ, ვაჟკაცი ყოფილხარ და ქუდიც გხურებია!

თარგმან აბიპონ თაჰორიანას.



ქ. კრანოვოდსკი. რესპუბლიკის თევზის გადამამუშავებელი მრეწველობის ცენტრი.

თურქმენეთი



თურქმენეთის სსრ

ფართობი — 488,1 ათასი კვადრატული კილომეტრი.

მოსახლეობა — 2 მილიონ 972 ათასი კაცი.

აუხაბადის მოსახლეობა — 335,7 ათასი კაცი. სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1940-1980 წლებში გაიზარდა 12-ჯერ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია — 4,7-ჯერ.

ელექტროენერჯიის წარმოება — 86-ჯერ.

კოლმეურნეობა „სოვეტ ტურკმენისტანი“ (აუხაბადის ოლქი) — კომბოსტოს ნარგავები.





მასშტაბული

ორი ლექსი

ხაზარის ზღვისპირით! ჯეიპუნამდე²
ველზე მიმოუქრის ქარი თურქმენთა.
ამ გულის ვარდი და თვალისჩინია
ყარადაღს- დაძრული ღვარი თურქმენთა.

ღვთის ჩრდილი თავს ადგა ნათლის მთოვარი,
უჩანთ აქლემები ველზე მძოვარი,
ტრამალი ყვავილთა სამთავრო არი,
რეჰანში ჩაფლულა ბარი თურქმენთა.

გაივლის ფერია ფერდაბურვილი, —
ჯერ დაგბნედს სურნელი, მერე — სურვილი.
აღსაპკალები ჰყავთ სიბრძნით ჭურვილი,
მტკიცეა თემი და გვარი თურქმენთა.

ვაჟაკად შობილა მტერთა მტევარი,
ქოროლღის თოხუმი, თავგამწვევარი.
ვერსად მოიხელთებს ცოცხლად მდევარი,
ვაფნი ჰყავთ ლომ-ვეფხვის დარი თურქმენთა.


ერთპირ და ერთსულ და ერთგულ არიან,
ერთად მთას მოჭგლეჯენ, გაგხარნიან!
პურ-სუფრა ერთი აქვთ დიდ-პატარნიან,
ერთურთს არ მოსტეხონ მხარი თურქმენთა.

ცადაფრენას არი, ცხენზე თუ არი,
კლდის თვალთ გამლღობი, შეუგუარი.
თაფლი სდის — მდინარე თუ სად რუ არი,
მინაა ხილ-ტკბილით კმარი თურქმენთა.

ბრძოლაში ვერავინ უგდოს ზურგული,
ვერცვინ შეუზაროს თვალი, სულ-გული.
არც ვარდის დამთმოა მათი ბულბული,
არცარა ვარდია მტკნარი თურქმენთა.

¹ ხაზარის ზღვა — კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება.

² ჯეიპუნი — ამუ-დარიის ძველი სახელწოდება.



ახაბადის ოლქი, კახკინსკის ბაზის საწმენდი ქარხნის დამამზადებელ მოედნებზე.

გვარ-ტომი ერთურთში ძმურად ირჯება,
ბედი სდევს, ღმერთს აროს მოუყირჭება,
ვინც ავად შეპბუდავს, ავად ისჯება,
დუშმანის რისხვაა ჯარი თურქმენთა.

თურქმენი კლდეს გაჰფშვნის გაბედულებით,
ლალი და უშიში თქმულა თქმულებით.
ლექსობს მასშტაბული თურქმენულ ენით, —
ისიც ჯიშ-ჯილაგი არის თურქმენთა.

ფუხარა ვარ

ჩემს ქვეყანას ხანი ვიყავ,
ხანთათვის ფირმანი ვიყავ,
დარდების მისანი ვიყავ,
საწყლისთვის დუქანი ვიყავ.
უჩანოსთვის ჩანი ვიყავ,
მაგრამ ზეჩარა ვარ ახლა.

ბრმათა თვალის ჩენა ვიყავ,
უენოსთვის ენა ვიყავ,
ჩემი ხალხის რწმენა ვიყავ,
მიჯნურთათვის ლენა ვიყავ,
ჰათემ თაი¹ მენა ვიყავ,
მაგრამ ფუხარა ვარ ახლა.

სამოთხეში შლილი ვიყავ,
სამშობლოსი შვილი ვიყავ,
ვაჟაკისთვის მშვილდი ვიყავ,
მთის მწვერვალზე ნისლი ვიყავ;
ფირალი² თქვა: — ვინც კი ვიყავ,
ივარი სრა ვარ ახლა!

¹ ჰათემ თაი — კაცის სახელი თაის არაბთა ტომში, მთელ აღმოსავლეთს შემორჩა, როგორც სიმდიდრის, სიუხვის, ხელგაშლილობისა და სტუმართმოყვარეობის სიმბოლო.

² ფირალი — მასშტაბის ფსევდონიმი,

თურქმენულიდან თარგმანა

ზაჰვა მადულაზვილია

სალამო ხანს აღექსანდრე ქავეკავაძის ქუჩას ხშირად ჩამოუყვებოდა ხოლმე მალალო, გამხდარი, სათვალღანი კაცი, მუდამ საგარეოდ გამოწყობილი, მუდამ ღიწი, მუდამ ფიჭრიანი. ჩამოუყვებოდა, ორიოდ ახლო მეგობარს შეუვლიდა და იქვე პირდაპირ, რესტორან „ინტურისტში“ ამოჩემებულ მაგიდასთან მცირე ვახშამს მიუხსნებოდნენ სასაუბროდ, ძველის მოსაგონრად, ახლის განსაბჭობად, მომავლის განსაჭკვრებად.

ეს კაცი ნიკო ლორთქიფანიძე ბრძანდებოდა. კაცი ფაქიზი სულის, რაინდული პირდაპირობის, უმწიკვლო ფიჭრის და საქმის. ნიკო ლორთქიფანიძეს „დენდის“ ეძახდნენ მეგობრები, „ბუნებით ბატონი“ უწოდა მას პაოლო იაშვილიძე. ეს იყო მისი სულიერი სიმალის სიტყვეერი გამოხატულება. საბედისწეროდ შეეჭიდა ერთმანეთს ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ორი ძალა: მშობლიურ-ქართული პატრიოტიზმი და კაცთსიყვარული და ავსტრიაში ნაზიარევი იმპრესიონიზმის არისტოკრატიული მელანქოლია, სკეპსისი და „დეპეშური სტილი“. შეეჭიდა და გაორდა მწერალი, ვერც ერთს შეეგლია და ვერც დათმო. ისე დაიწყო მისი შემოქმედება, რომ მკითხველი იფიჭრებდა, მოსწყდაო ნიკო ლორთქიფანიძე მშობლიურ ფესვებს. „არც ვიცი, რა არის ჰუმარიტიზმი და არც მგონია, რომ იგი არსებობდეს“ („ჰუმარიტიზმის მაიებელი“) — გვაუწყებს მწერალი და დიდად განიცდის ამის გამო: „სიმძიმეს გირვანქობით ზომავენ, სიგრძეს — ადლით, დროს — წუთით, მაგრამ ამ პატარა გულში გამეფებული ტანჯვარი გაიზომება? ჩემს მწუხარებას შემოდგომის ცაც კი ვერ გამოიტირებდა, კიანურიც ვერ ამოიკვნესებდა“ („უვარსკვლავო ღამეში“).

ნიკო ლორთქიფანიძე თითქოს უკანასკნელ იარაღს ყრის მაშინ, როდესაც კაცობრიობის ბედი მოირას ხელში ჩაგდებულიად მიაჩნია და მიზეზ-შედგობრივი ურთიერთობანი — გამორიცხულად („მოირა“).

აი, ასეთ პირობებში ჩნდება შემოქმედებითი თეორია, სრულიად საპირისპირო თეორიისა, რაც შეიძლება მინიატურის — „ღულღუნი იგი ჩამრჩენია გულს“ ავტორმა. იმპრესიონისტურ იდეებს შემოქმედების იმპრესიონისტული თეორია მოჰყვა.

ცნობილია, თუ არ არსებობს მოვლენათა შორის მიზეზ-შედგობრივი კავშირი, რჩება ცალკეული მოვლენა თუ ფაქტი, რომელიც მოახდენს (ან

არ მოახდენს) გარკვეულ შთაბეჭდილებას გარკვეულ სუბიექტზე. რამდენადაც ამ შთაბეჭდილების განზოგადება მისი შემთხვევითობის (მიზეზით გაუპირობლობის) და სუბიექტურობის გამო შეუძლებელია, მწერალი არც ინარჩუნებს უფლებას, მოახვიოს იგი თავზე „თავის მეგობარ მკითხველს“. მას შეუძლია, მხოლოდ გაუზიაროს ეს შთაბეჭდილება, ხოლო დასკვნა დამოკიდებულია თვით მკითხველზე. ყოველი ინდივიდი თავისუფალია დასკვნის გამოტანაში, რის შედეგადაც ნაწარმოებს ეკარგება სოციალური ფუნქცია.

რამდენადაც შთაბეჭდილების მხატვრული ფიქსაცია გა-

ლი, როგორც პროზის ხელოვნება. მაგრამ არა მარტო ამით. მწერალი ვალდებულია მოგვეცეს არა მარტო ფაქტი, არამედ ფაქტთან თავისი დამოკიდებულება. ამიტომ, რომ იგი ეძებს სიტყვის იმ „ფერს“, ანუ ელფერს, რომელიც განსაკუთრებით ესადაგება სათქმელსა და ამ სათქმელთან მწერლის მიმართებას. ამიტომ არ ამბობს მწერალი „დატირალა მაჭანკალი“, ან „მიღგა-მოდგაო“, არამედ წერს: „გაძვრა-გამოდგრა მაჭანკალი“. აქ მაქსიმალურადაა მიღწეული კომენტარის ეკონომია. სიტყვის ასეთ ეკონომიას აღწევს მწერალი ირონიის გზითაც. აქ ქვეტექსტი

ადამიანის უდიდეს ფასეულობათა — სიყვარულის, ოჯახის, ერთგულების შემართობის, საფუძველი ნიკო ლორთქიფანიძის „შემობრუნებისა“ ძირითადად მაინც ორია: პუმანიზმი და პატრიოტიზმი. კაცი, რომელიც ეჭვობდა ჰუმარიტიზმის არსებობაში, წერს: ადამიანის არსი „ჰუმარიტიზმის უდიდესია“, და რადგან ასეა, მწერალი თვით ფსალმუნის სიტყვებსაც ეტოქება („მიწა ხარ და მიწად მიიქცე“). „მიწა იყო და მიწად იქცაო? ადამიანი მიწა თავის ღღეში არ ყოფილა, ადამიანი აზრია, გრძნობაა, სიყვარული და სიძულვილი, ალტაცება და სულმდაბლობა, სინდისი და უნამუ-

ნიჭი ნამუსი

ნიკოლოზა ცინკარიძე, პროფესორი.

მორიცხავს დროში გავრცობასა და მიზეზთა ძიებას, იმპრესიონიზმი ამკვიდრებს მკირეფორმიან თხზულებას, ძირითადში მინიატურას. და რამდენადაც იგივე შთაბეჭდილების მკითხველამდის მიტანა იმავე სიმძაფრით, როგორითაც იგი მწერლისგან იქნა მიღებული, გულისხმობს მაქსიმალური ექსპრესიულობის მიღწევას, იმპრესიონისტი იყენებს ყველა საშუალებას, რომელიც ამ მიზანთან მიიყვანს: იგი სიტყვას „სწურავს“ მისი შესაძლებლობის მაქსიმუმს. იყენებს სიტყვის არა მარტო აზრობრივ, არამედ ბგერით (მუსიკალურ) და ფერით (ელფერის თვალსაზრისით) ფენომენს. აქ ჩნდება წერის ის ძალი ტექნიკა, რასაც ამკვიდრებს იმპრესიონიზმი საერთოდ და კერძოდ ქართულ ლიტერატურაში — ნიკო ლორთქიფანიძე.

აქედან იზადება ნიკო ლორთქიფანიძის ფერწერული ფრაზები. იმერული გლეხის ოჯახი: „ყვეფდა ძაღლი... ყიოდა მამალი... ბუხრიდან ამოდოდა კვამლი...“

და იყო ერთი პატარა ოჯახი. ეს ნაწყვეტი ვიზუალურ შთაბეჭდილებას ქმნის და ავტორის კომენტარს არ საჭიროებს. წერის ასეთი ხერხი მჭიდროდ აკავშირებს ლიტერატურას მხატვრობასთან. ამით იქმნება „დეპეშური სტი-

იქნის კომენტარის ღირებულებას და მიღწეულია ფრაზის ლაკონურობა. ნიკო ლორთქიფანიძის ირონია არაა იმპრესიონიზმისათვის ტიპური ქედმალლური, ბატონაკური მიტევიების ღიმილი, ესაა რბილი, კაცთმოყვარე და სიმანინჯესთან შეურიგებელი გაღიმება მწერლისა, რომელიც უაღრესად დამნდობიკაა და უკიდურესად დაუნდობელიც იმისდა მიხედვით, თუ რა არის მისი აღწერის ობიექტი.

სიტყვის ბგერითი (მუსიკალური) ფენომენის გამოყენება საშუალებას აძლევს მწერალს გააღრმავოს სუბიექტური განწყობა, გაამძაფროს ლირიზმი.

ნიკო ლორთქიფანიძე სწორედ მუსიკალურობით, თითქმის თეთრ ლექსამდე მისული რიტმულობით აღწევს უდიდეს ლირიზმს.

ეს დიდი ლირიზმი და მაქსიმალური ლაკონურობა არის ის ხელოვნება, რომელსაც ეზიარა ნიკო ლორთქიფანიძე, გაითავისა და შეინარჩუნა სიცოცხლის ბოლომდის, შეინარჩუნა მაშინაც, როდესაც ერთიანად გაწყვიტა კავშირი იმპრესიონისტულ ფილოსოფიასთან.

კავშირის გაწყვეტა კი მალე და უკომპრომისოდ მოხდა. მოხდა იმიტომ, რომ ნიკო ლორთქიფანიძე ვერ მიიღებდა იმპრესიონისტულ კოსმოპოლიტიზმს, მიზანტროპიას, აგდებულ დამოკიდებულებას

სობა. ხოლო „დადიანის ასულსა და მათხოვარში“ მწერალი წერს: „გამხდარ თხას, დაკოვლებულ ცხენს, ჩაგმხამომტრეულ თოფს ფასი ეკარგება. ადამიანს კი ერთი და იგივე ფასი აქვს ყოველთვის და ყველგან, იმერეთის სამეფოს არგუნებს თუ დანუფას მელიორედ გააჩენს უფალი“.

ეს რწმენაა საფუძველი ნიკო ლორთქიფანიძის იმ თხზულებებისა, სადაც ადამიანის უფლებისა და ღირსების დაცვა წარმოდგენილია.

რამდენ ქართველ მწერალს უჩვენებია ჩვენთვის გლეხის გაჭირვება მისი უსასოო ყოფა ბატონყმობისას თუ ბატონყმობის შემდეგ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მიუღწევი იმ საოცარი ექსპრესიონისთვის, რასაც აღწევს მწერალი ორგვერდიან მინიატურაში „ტრაგედია უგმიროდ“. ამ პატარა ნოველაში გრძნობათა და განცდათა მძინეარე ქარიშხალი დაატია მწერალმა. ქარიშხალი, რომელსაც ვერ გაუძლო გმირმა და თავი ჩამოიხრჩო.

ტრაგედია ამ კაცისა ნათელია. ნათელია მისი საფუძველიც და დასასრულიც. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძე ხშირ შემთხვევაში ისეთ ტრაგედიასაც ხდის ფარდას, რომელიც უჩინარია თავისი ბუნებით. ეს ტრაგედია ოჯახს კარეთ არც გამოდის და იქაც გაუგებრებული რჩება. ვგულისხმობთ თავსაფრიანი ღდაკაცის ტრა-

გედიას, დედისა, რომელმაც
სამი შვილი ქვრივობაში, უდი-
დეს გაჭირვებაში გაზარდა, გა-
ნათლება მისცა, დააბინავა და
უეცრად აგრძნობინეს, რომ
ზედმეტი გახდა.

ნიკო ლორთქიფანიძემ თავ-
საფრიალი დედაკაცის სულიერ
სამყაროს განსხივ მოგვცა
მაღალი სულის შეგახება მდა-
ბალ გრძნობასთან — უმადუ-
რობასთან, წარმოგვიდგინა
გრძნობის უნაზესი სიმები და
ამით კიდევ ერთხელ აღიმად-
ლა ხმა ადამიანისადმი სათუთი
დამოკიდებულების დასაცავად.

სამეცნიერო ლიტერატურა-
ში ხშირად უთქვამთ, რომ ნი-
კო ლორთქიფანიძე წარსულის
მეხობებია. ეს დებულება და-
ზუსტებას მოითხოვს: როდეს-
საც მწერალი ფიქრობს იმაზე,
თუ რამ გადაარჩინა საქართ-
ველო, როდესაც დაემხო რო-
მი, ფინიკია, ელადა, — მაშინ
მართლაც ჩნდება მის შე-
მოქმედებაში ის „ძლიერნი სუ-
ლითა“ და „ქედუბრუნნი“,
რომელთა მკლავს, მკერდსა და
სულიერ ძალას შეუწარმუნე-
ბიათ ერისთვის ერობა. მაგ-
რამ იგივე ნიკო ლორთქიფა-
ნიძე ავტორია „მრისხანე ბა-
ტონისა“ და „უამთა სიავის“,
სადაც ფეოდალური საქართვე-
ლოს მანკიერებათა მხილება
თხზულების ალფაცაა და ომე-
გაც. ესაა თხზულებები დიდ-
გვაროვანთა სიხარბის, დაუნ-
დობლობის, აღვირახსნილობი-
სა და განუსაზღვრელი უფლე-
ბების შესახებ. ამ თვისებათა
ძალმომრეობა სრესს ყველა-
ფერს მართალს, წმინდას, პრო-
გრესულს. აქაა ძირითადი მი-
ზეზი საქართველოს სვედა-
მწვარი წარსულისა. ბოლო სა-
ქართველოს წარსული, აწმყო
და მომავალი იმ ქვეყნებზედ-
თაგანია, რომელზედაც იგება
ნიკო ლორთქიფანიძის შემო-
ქმედება.

„გული“ იმ ადრეულ მინი-
ატურთაგანია, რომელმაც „მი-
წის ყვილის“ პრობლემა დას-
ვა ჩვენს ლიტერატურაში, და
რაც შემდგომ უმადლეს რე-
გისტრში კიდევ განმეორდა
ნოველაში „შელოცვა რადიო-
თი“.

საქართველოზე ფიქრი ნი-
კო ლორთქიფანიძის სულის
უფაქიზესი მელოდიაა. ამიტომ
ისმის ეს პანგი მწერლის ყვე-
ლა დადებითი გმირის ყოცინასა
თუ კვენსაში. მისი „იყიდება
საქართველო“, რომელიც 1910
წელს, რეაქციის მძვინვარების
ხანაში დაიწერა, არის არა მა-
რტო სიტყვის უდიდესი ძალის
გამოხატვის მწერლისეული
უნარი, არამედ მოქალაქის
ვაჟკაცური ხმა, მიმართული
სამშობლოს დასაცავად. ეს
ხმა, ერთგვარად უიმედო ამ

თხზულებაში, იმედით იმსკვა-
ლება მინიატურაში „რეკა“.

ნიკო ლორთქიფანიძის დი-
დი სევდა, გამოწვეული სამშო-
ბლოს მდგომარეობით, შეიძ-
ლება გამოიხატოს ბიორნეს
სიტყვებში: „მე ავად ვარ სა-
მშობლოს ავადმყოფობით, გა-
ნიკურნება იგი და მოვრჩები
მეც“.


და ეძიებს მწერალი ამ „გა-
ნიკურნების“ გზებს. ამ ძიება-
ში იგი უპირველეს ძალად
აღიარებს დაბალ ფენას, იმ
„ცალკერანგა“ გლენს („ქედ-
უბრუნნი“), რომელმაც სიცო-
ცხლე გაწირა საქართველოს
ციხესიმაგრის ბალავრის გასა-
მაგრებლად, ლაზიკიას („რაინ-
დები“), რომელიც ერთადერთი
გადაურჩა დრო-ჟამის ბრუნ-
ვას, როდესაც დაინგრა დიდ-
თავადთა კოშკები.

ნიკო ლორთქიფანიძის შე-
მოქმედებაში იჭრება გორკი-
სეული რევოლუციური რომა-
ნტიკა. გორკის ცნობილი ფრა-
ზა „თავდადებულთა უგუნუ-
რებას ჩვენ ვუგალობებთ ქე-
ბათა-ქებას“, აშკარა გამოხა-
ტულებას პოულობს მინიატურ-
აში „ხარი და პეპელა“ და
ნოველაში „ამაყი“. ეს მიბაძ-
ვა როდია. ნიკო ლორთქიფა-
ნიძის თავისთავადობა უკვე
იმთავითვე გამოიციხავს მი-
ბაძვას. ესაა გამოძახილი იმ
კითხვაზე, რომელიც დასვა
ეპოქამ და რასაც ასე ბრწყინ-
ვალედ გამოეხმაურა მაქსიმ
გორკი.

ნიკო ლორთქიფანიძის ერ-
თადერთი რომანი „ბილიკები-
დან ლიანდაგზე“ უკვე ნათე-
ლი სურათია იმ გზისა, რომე-
ლმაც „დანგრეული ბუდე-
ების“ ტრაგიკული პერსონაჟე-
ბი „ფეოდალების“ კომიკურ
მდგომარეობამდე მიიყვანა, მი-
ნაიას („კერიასათვის“) მსგავ-
სებს კერია აღუდგინა, საქართ-
ველოს მომავალი გამოქცა.

იმ დიდ პრობლემებს, რომე-
ლთა დასმასა და გადაჭრას მო-
ანდომა ნიკო ლორთქიფანიძემ
მთელი სიცოცხლე, უკვდავება
მიანიჭა წერის იმ განსაკუთ-
რებულმა ხელოვნებამ, რომე-
ლიც გამოიმუშავა მწერალმა
და დაუტოვა მემკვიდრეობას,
როგორც უძვირფასესი განძი.
მისი მაღალი ნიჭი მის პირვე-
ლსავე თხზულებაში გამოვლი-
ნდა და ბოლომდე პირვანდე-
ლი სიკაშკაშით ენთო.

„როდესაც პირველად მისი
ნაწარმოებები დაიბეჭდა, —
წერს სერგო კლიაშვილი, —
ჩვენ, ახალგაზრდებმა, მაშინ-
ვე ინტუიციურად ვიგრძენით,
რომ ეს იყო დასაწყისი ახა-
ლი მწერლობისა. ვგრძნობდით,
რომ ის უნდა ყოფილიყო ნო-
ვატორი, მას უნდა მოეტანა
ახალი სიტყვა ქართულ პრო-
ზაში. ასეც მოხდა“.



ნიკო ლორთქიფანიძე

გული

მოკვდა.
დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასათუმალი; იღუმალის მწუ-
ხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვა-
ლებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ
მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწა-
მდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც
უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.
— ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქ-
მედა, — იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს.
პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:
— შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!
ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ბატონებო, გული, გული, სადღაა?
გულის მაგიერ ფერფლია დარჩენილიყო.
დეპეშით გაგებულნი უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა
შევიდა საყვარელ შვილის ობლათ დატოვებულ ოთახში. ქვითი-
ნებდა: ასე გამოიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული,
ამდენის ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კელიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:
— მე დავაჭკნე!
— მე დავწვი! — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.
სიტყვები არავის გაუგონია.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



თოლიაში გემს მისწავენ...

ში ჩაჯდომა. რაღა გვენოდა აქეთ
თავადაც არ ვიცი. გემი კი სვლას
უმატებს და ტალღებს მიაპობს.
თანდათან აგრილდა. ისეთი ნიაფი
პქრის, ნაპირზე დარჩენილთა შე-
ხაშური.

— მოგვივადო? — ვეკითხები
შვილებს და ჩანთაში ფუნთუშებს
ვეჭებ. უცებ ვხედავ, ტალღაზე იხვი
ზის. გაოცებისაგან ღამის ვიყვი-
რო. რა უნდა იხვს შუა ზღვაში!

— იხვი?
— ეს ხომ თოლიაა, დედა! —
იციინის გოგო.

ზურგს უკან ფრთების ტყლაშუნი
და ჭყვიელი მოისმა. მივიხედეთ.
თოლიების სამეული მოგვდევს.

— დედა, ფუნთუშები ვაჭამოთ!
— შეხვეწიან შვილები.

ფუნთუშებს ვაჭუცმაცებთ და
ვისვრით. თოლიები საოცარი სი-
ზუსტით იტაცებენ მათ ტალღის
ზედაპირიდან.

ვყრით და ვყრით ფუნთუშებს.
მოგვდევნენ და მოგვდევნენ თოლი-
ები, ისე ახლოს არიან, ხელით შე-
ეხები. ქარი თმახა და კაბებს გვიფ-
რიალებს. თოლიები ტალღებს აცხ-
რებინან, ფრთებს ატყლაშუნებენ
და კვლავ ჩვენს გემს მოსჭყვიან...

ფოტოაპარატომარჯვებული უც-
ნობი სურათებს იღებს. ობიექტივ-
ში ჩვენ ამოგვიღო. მერე ჩვენი
მისამართი ჩაინერა — სურათებს
გამოგიგზავნიო. თუ მართლა გა-

მოგვიგზავნა, სურათზე იმ ზღვის,
თოლიებისა და ჩვენი ხულის სუნ-
თქვას იგრძნობ. თოლიები ხან კვლავ
სწრებენ, ხან მოგვდევნენ.

შვილები ბედნიერები არიან. ფუნ-
თუშები გამოვლიათ და ახლა ღი-
მილით მასპინძლობენ ჩვენს შეგ-
ზურ თოლიებს.

— დედა, რა ლამაზია! შეხედე,
როგორ მიიჩქარიან ტალღები ცის-
კენ, თოლიები კი ჩვენსკენი — აღ-
ტაცებული შვილები მღერიან და
სულაც არ სცხვენიათ სიმღერისა.
მერე მკლავებს ფართოდ შლიან და
თოლიებს ბაძავენ. რადიოში მუსი-
კა ჩართეს. სრიალებს, მაგრამ თუ
ყურთასმენას დაძაბავ, მელოდიას
გაარჩევ. ჩვენმა გემმა მძლავრი
რწვევა დაიწყო. როგორც ჩანს, „ღე-
ღვაში“ მოვხვდით. ზოგიერთი
მგზავრის სახეზე შევფოთება გა-
მოისხატა. ჩემს შვილებს კი მკლა-
ვები გაუშლიათ და „მხიარულ
ტალღაზე“ თოლიების ფრთებით
მონაბერ ქართან ერთად მღერიან.

— აბა, ვინ მღერის თქვენს გარ-
და? — „ნარბუკურული“ შენიშვნას
ვამღევ.

— ქარი! — მხიარულად ამბობენ
ისინი.

— ვისა აქვს თქვენს გარდა
მკლავები გაშლილი! მიმოიხედეთ
ერთი, ვისა აქვს?!

— თოლიებს!

ჩემი სიყვარული გაშასხენდა.
ხარბად შეენატრი ცისფერ ლიე-
ლივში თოლიების დაუსრულებელ
სრიალს.

შემიძლია დავიფიცო, რომ აქა-
მდე არასოდეს მინახავს ნამდვილი
თოლია.

თუმცა როგორა არა, მინახავს—
სიზმარში.

ასე ბედნიერიც უშენოდ არასო-
დეს ვყოფილვარ. თუმცა როგორ
არა, ვყოფილვარ — ბავშვობაში.

კირა კვიციანი

ბ ა რ ა თ ი

ოდესა, თეთრი პალატის სხივი,
ეჭიმის იმედინი ხმა,
არ გავიკარებ გასვლისას ჩივილს,
თუ დავინახავ ცას.

გული საგულეში ვეღარ დავატიე,
ქარგადაც, გამიხდა, ავადაც,
პოდა, როგორ ამატირა
იქ ჩემი შვილის ბარათმა.

ამნაირ სიხარულს გაიგებს სხვა?
მისამართს თითებითაც ვხედავ;
„ოდესა პალატა № 8,
წაუკითხეთო, დედას“.

თრიოდ სტრიქონში ეწერა,
რაც შინ დავუტოვე სევდა,
„აწი იმ ნუკრის თვალები გეჭნება,
მე რომ დავხატეო, დედა!“

პასუხი მზად მაქვს, მე ვიცი, ვცდილობ,
როგორ ავმადლდე სიბნელის ზე,
შენი კარგაკაცობაც მეყოფა, შვილო,
რომც ვერ დავინახო მზე!

ივო ცარციანი

პოეტი მზობლიურ სოფელში

მარიკა ბარათაშვილი

იმერეთს თქვენი შვილობა შევნის,
თქვენი ღიმილი და თქვენი კდეშა,
თითქოს ამღერდა პატარა ხვეიც,
ხმა ამოიდა თითქოსდა კლდემაც;
დგას შემოდგომა ბაჯალლოსფერი,
მორთული ძონით, მორთული ფარჩით,
თქვენ რომ უმღერეთ... და იმის მერე
ყველა ჩვენგანის გულბში დარჩით;
ყველგან ბავშვობის ბილიკებია,
ბრწყინავს თრიმლები, ბრწყინავს თელბი
და ბალახებში ინაბებიან
ის მარჯნისფერი საპოვნელები...

ქარი ცელქი და ქარი ფრთაშალი
სიცილ-სიცილით გაინავარდებს,
კაცხის სვეტისკენ გზად მიმავალი
თქვენს მობრძანებას ამცნობს ნავარძეთს...
აფოფინდება მთელი სოფელი,
მოინახულებთ ნაცნობ მთავორებს,
შეგეგებებთ გზად მეზობელი
და წასულ დღეებს კვლავ მოგაგონებთ...

პეტარა ლექსი

დაიბადება პატარა ლექსი
ფიქრით და თრთოლივით, ღულუნა ხმებით,
ურითმებოდ და უსათაუროდ,
გოგონასავეთ გაწვნილ თმებით,
გალიმებული, ცისფერ თვალბით,
სულ ბაკი-ბუკით მოივლის ოთახს,
გაოცდებიან კუთხის ქალები,
კედლებს ისეთი ფერებით მორთავს...

...მერე მენვიონ დარდები თუნდაც,
მანც ამავსებს წკრიალი მისი
და ვიოცნებებ, რომ იყოს მუდამ,
ჩემი ღამაში მთა-ბარის ღირსი...

ს ი მ ვ ა რ უ ლ ი

ბებია წასასვლელად ემზადება,
ყოველ წუთს ბაბუა ელანდება,
ლოცვებს ჩურჩულებს და ნელა-ნელა
ბებია წასასვლელად ემზადება...

ბებია! მიდამო ფერადდება,
მე და შენ მართლაც ვერ მოვრიგდებით,
რავა სულ სიკვდილი გელანდება,
გვეყოფა, როდესაც მოგვიკვდებით...

ძალაძი შინათურა.



ალისო ხარიძე

კოთხჯოვა

მხატვარი თინათინ სამსონაძე

მანქანის კარი მიიჯახუნა, შოფერს შესცინა და ხელეში დაიორთქლა:

— აგაშენა ღმერთმა. მთელი საათია ვდგავარ. ეშპაკის ქარია, ეს ოხერი.

— სუფსარქისია. სანამ ვინმეს არ გაგუდამს, არ დადგება.

— გაგუდამს არა...

— უხათრებს, აი. ყიზლარიდან შეუდინები.

— რა იცი...

— შუბლზე განერია. ამ შუა დოლობას როგორ წამოხველ?

— ბიჭი მყავ.

— პირველია?

— პირველი.

— მერე, როგორ ნაზად ირჯები! ერთი მაინც აღარ უნდა დაგეჭყვილა? სანდრიას სიძე არა ხარ?

— სანდრიასი.

— შენ ქორწილობას მეც ყიზლარში ვიყავ, თივის დამზადებაზე. შენ კიდევ სანდრიასთან არ დაიარები, თორე როგორ არ გეცნობები. მაშ, ბიჭია, პა! მოგვიყვანე ისონა, თუ ზედ სასადილოსთან არ ჩამოგსოს. მოდის?

იცინოდა გიგლა:

— მოდის.

სველი, არეული ფანტელეებით მოზურული არემარე ჩამობნელებულსა ჰგავდა. თეთრად გადამტკნარებულ, გაყურებულ გზას მანქანის ჩუმი გუგუნი ნანასავით ედებოდა და კაბინაში ჩათბუნებულ გიგლას რული მოერიდა. ცალი ყურით უსმენდა ისონას. რაც ბიჭის დაბადება შეიტყო, მას აქეთ გაბრუნებული ჰქონდა თავი. სულ იმსასა ცდილობდა, ბიჭი წარმოედგინა, თავისი შვილი, მაგრამ ვერა, ვერაღის მიამსგავსა. თავის დღეში აკვანთან არ მისულა და ჩვილისთვის არ დაუხედავს, მამისგან თუ მოსდგამდა. სანამ ფეხი არ აიდგა, ზედაც არ უყურებდა მამა. ერთხელ, თურმე თვალჭრელაანთ ბანზე გატოცებული ის იყო, ძირს უნდა გადაშვებულიყო, ჩითის პერანგზე დაედა მამას ფეხი და ისე დაექირა. კი არ დახრილიყო და ხელში აეყვანა, არაეინ დამინახოსო.

მარტო ხმა ესმოდა, ნერილი, ჩხვანა, უცხო. ხან კნუტის კნაეილს რომ ჰგავდა და ხანაც ახლად დაბადებული ბატკნის ბლავილს. ისე, ისე ცხადად ესმოდა ის ხმა! სულ ერთიანად შეძრული და ტკბილად აფორიაქებული, რაღაცნაირი უცხო სინაზით გაბრუნებული იმ ხმას უყურებოდა. ისონა კი ლურჯად ალაპლაპებულ მოყინულ გზას დაძაბული გაპყურებდა და ეკითხებოდა:

— ფარა ვილას ანაბარა დააგდე?

ისე ეზარებოდა იმ ტკბილი ზმანებიდან გამოსულა! ზანტად გაახილა თვალი:

— ორი-სამი დღით რასმე წამოველ. აღარ

დამაყენეს ბიჭებმა, ნადი და ნადიო. ეგეთი ამხანაგები მყავ ფარაში!

— დოლს როგორი პირი უჩანს?

— ავ ყურ არ გეგონება. ჩემი ფარა ასიანი იქნება.

— იპ, მაგდენი ტყუბი სად მოვა?

— მოვა. ეგეთი პირობა მაქ.

— ბიჭის ხათრითა?

— ბიჭისა.

ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს უწონოები იყენნ. ალბათ ესე არიან თვითმფრინავშიო, ფიქრობდა. გაიზარდოს ბიჭი, ადგებიან და სადმე გაუტყვენ ორიენი, ზევიდან გადაუფრენენ ყიზლარის მინდვრებს. ნეტა ცხვარი როგორი გამოჩნდება ზევიდან? ალაგ-ალაგ ალაპლაპებული ყინული ჯაჭვიან ბორბლებს ისხლებავდა, ფეხს არ აკიდებინებდა და ისე ციმ-ციმ მიიწნოდნენ, გეგონება სულაც მოსწყდებიან და ხევი სადმე გადაეშვებიანო. თვალბად ნაქცევი იასონა მშვიდად, მოზომილად ატრიალებდა საჭეს.

— რალა დროს ამოდენა ზამთარია!

— თებერვალმა თუ გაინია! შეირიგე სანდრია?

— შევირიგე, არა...

— რას გემდურის, რა შინდაო.

— რა ვი. ბარათ ჩამარევე ცოლ-შვილიო.

— რათაო, კაცო.

— მითული გავრიები ხართო და იმისთვის. ცხვრის სუნითა ყარხარო.

— ცხვრის ერბო-ყველს კარგა მიირთმევეს! თვითონაც გავრია არ იყო! ჩამოგვიბრძანდა აქა! ვინ ეპატყებოდა! ბარე იხუვლოს, მთელი მთა აიყაროს და ბარათ დეეოს! როგორ იყო, სანყობიდან რო გეექეცი?

— აი, ეგრე იყო: ჩამამიყვანა და ზედ გაგანია ცხვრის პარსივას სელაოს სანყობში გამაქეცა. მეო, იცი, რამოდენა ფული დაშიჯდა ეს ადგილიო. განა შენაირი ტეტიები სხედან აქაო. სოფელში სახლსაც მაყიდვიენებდა. მუშტარიც ექძლოლა. ერთ თემდინ კი გავქელ და გავუტე ისევ ყიზლარ. გაზაფხულზე რო გადმოველ, სიხლოვეს აღარ გამიკარა.

— ისე, კაცმა რომ თქოს, ცოდო კია. მაგ ერთი გოგოს ანაბარაა. თვითონ — დაბაში. გოგო — მთაში.

— მეც ერთი ცოლის ანაბარა ვარ.

იცინოდნენ. თვალნი ედგა თავისი სიმამრი და გულში ჩუმად იცინოდა. ნიშნის მოგებით კი არა, ისე. მეო, ჩემი ოჯახობა ტახტის ქალბატონად მიზის, რაც ჩემი სახლის რიდეს ფეხი გადმავიჯა, მას უკან ეზო-კარისთვის აღარ გამოცილებიაო. განა სხვების ქალბუებით დღენი-დაც სამსახურის გზაზედა მყავ განელილიო. ოჯახობა გონი! იმიტომაც არ გამოხრა ბატკნის კანჭით და დააჩამიჩა. ტყუილად კი არ ეძახი-

ან გალულ სონას. მთელი დღე და მოსწრება ცოლ თვალზე უბრიალებს, დაილეოდა, მა რა მოუვიდოდა. ან ანიკოს რა გულმა გაუძლო, რო მამის უკითხავათ შინ დამიჯდა. დიხასაც, მწყემსი როა, იმიტომ გავყო. ეგ კიდევ: როგორც აღდგომის კვერცხი ლავაში, ნაბადში თუ ისე არ გვეხვიე, ისე რა გაგაძლებინებსო. დამცინის კიდევ, თავის ჭკუით, ნაბადი რა დასა-ცინია! ყველა ვაჭკაც კაც ნაბადი უტარებია. მაშ, პლაშ-კოსტუმით ხო არ წამოვკოსტრიადები! თურმე ნუ იტყვი, გულში რა ჭია გასჩენია: ალბათ დაუყვედრებულ ლუკმას არ აჭმევედი ანიკოს, რომ გარეთ გაინაო. იცის კია, რა მოდარებულია მაგის ქალი, სამსახურში რომ ჩად-გა. მაშ, რისთვის ვისწავლე სუთი ნელინადიო, სუ ჯამ-ჭურჭელ ხო არ ვიქნები გამოდებულიო. ნელინადში რვა თვე სახლში არა ვარ, შინ რო იჯდეს, რა გააძლებინებს? ვისი ქალი ზის სახ-ლში! ნიკოლოზის დრო ხო არ არი! ეგ კიდევ: სხვისა ქალზე რას უყურებ შენაო. ნალველა აქვს გულ-გვამში ჩაქცეული, მა რა. ბარათ რო აიყარა, აკი ეძაგრებოდა ანიკოსაც, შეეშვი მაგ ტილიანებ, დაბაში გამოგვეყო. ვერ მამინელა. სანთლით ეძებნა, ეშანდ ჩემნაირი სიძე არ ეპოვნა. სახლი მავლია, თუ კარი, ქონება თუ ძმა-ბიჭები. ბიჭის მამაც გავხდი. გული არ გაუსივდება, ასიან ფარას რო გადმოგვეკამ. ეშანდ კი ბატკანი არ დეეცეს! დეეცეს, არა! ლომები-ვით ბიჭები უდგანან, ბატკანს დასცემენ..


— ნეტა რასა შერებიან ბიჭები... — უთხრა ისონას.

— როდის გაბრუნდები?

— რა ვი. ცოლ-შვილ დავაბინავებ და მერე.

— იპ! მეცხვარე კაცის ცხოვრებაც ძალღუმა-ღურია.

გაჩუმდნენ. უფრო გაეხვია თავის ტყაპუჭში. თვალი მილულა. სიმამრის სახე არ ასვენებდა. გაფიფინებული. აქვე ედგა, ცხვირნი, და ალ-მაცურად შემოსცქეროდა. თავის ბრალი იყო, სოფელმა რომ ამოიძულა. რაც ეგ სიმამრეში გვერიდა, ფერმის გამგეთ რო გვედგა, ენა და პირი ვერ მოსთვის. კერძო ცხვარი არ გააჭა-ჭანოთ ფარაშიო. მოგვდგა და საცა ერთი კერ-ძო სული ნახა, ყურები დააჭრა. მაგას ვინ ეკითხებოდა! მთავრობაზე დიდი იყო! რაც ნესითა და კანონით გვეკუთვნოდა, იმასაც გვამადლიდა. თვითონ ნაკლები ცხვარი დაუდიოდა? ლამის მთელი ფარა დაუჭირეს. ძლივს არ მოგვაშორეს! ხო გაიძურნა სოფლიდან! ახლა რა ატუწული მიდიოდა, ვალს აქეთ გვადებდა. მეო, ჩემი ალა-ლი შრომითა ვჭამდი ლუკმას, ავი ენები რომ არ ამსისინებოყენენო. მე მაგებინებდა. რა ჩემი ბრალი იყო, მკითხეს, ვისი ცხვარია ესაო და ვუთხარი, ვისიც იყო. მაშინაც ჩემი სიმამრი ხო არ იყო, რო მედიდგულებოდა. სოფელმა ვერ



**პირველი
ბიულეთი**

დამაფასაო. ძანაც დააფასებდნენ, ღირსი თუ იყო. სოფელს რა შეეშლებოდა! ანიკო კიდევ: გულზე არ გეხატება მამაჩემო. ჩემი გულის- თვინ მაინც შეირიგეთ. ბიჭის ხათრით მოუთმინეო. ბევრსაც მოუთმინედი, ნალექა რა არ იყოს. ისევ ძველებურად არ გაუთუო! რალა დროს ეგებია! ჩემი ბიჭის ხათრით, სიამარს შევურიგდები კი არა, მთას ამოვატრიალებ. შევურიგდები, მა რას ვიზამ. რა დანაშაული მიმიძღვის, მაგრამ ვეტყვი, მაპატიე-მეთქი. დღეის ამას იქით ღვიძლ შვილათ მიგულე-მეთქი. მხარზე ვაკოცებ. თუ ისევ ძველებურათ დამინყვებს, — ჩამოდი ბარად, მარტო შენ ხო არ იქნები დუნიაზე ზეციზედ შემოსულიო, ქვეყანა ეგრეთ, — ყურს მოვიყრუებ. დაბერდა სანყალი, ნელში გაიღუნა. ადვილია, ერთადერთი შვილის ნახვას ვანატრულვებდე? ეგება ანიკო გაზაფხულამდე სულაც მამასთან დაეტოვო, მეც გულ დავილატებინებ, ცოლ-შვილის დარდი აღარ შემჭამს. ხვალვე გავბრუნდები ყიზლარ. ახლა ცხვრის ლალატი იქნება?!

თებერვლის ქარი შუშებს გამწარებით აწყდებოდა. ლამის კაბინაში შემოვარდნილიყო და იქაურობა აეკლო.

იქ კი, ყიზლარში, უკვე გაზაფხული იყო. თბილი და ხასხასა ამინდი იდგა. მწვანე მინდვრებს შესეოდა ფარა, გაზაფხულს გამოტყულიკებული. თოვლის ფანტელებივით მოსდებოდა და იქაურობა გადაეჭრებინა. მტვრის ბული იდგა. კოლო ბზუოდა. დაკუნტრუშობდა ბატკანი, თოთო, ჯვრაც რქეშეუშობობი. ყირაზე გადადიოდა. იმ პანანინა, მოუშუშებელი რქებით ლამის უბე- გამთბარ, გაფუებული მინას დასტაკებოდა და ძირფეხვიანად ამოებრუნებინა. თავისი მგონა ცა და ქვეყანა. ვინ იყო იმის მომრევი!

ძილბურანში ილიმებოდა და იასონა, საქვს ღონივრად ჩაფრენილი, ხელს არ უშლიდა. გასუსული იჯდა, არ გავადვიძო. მერე პკითხა:

— დაბაში მაილოგინა? ცოლმა...

— დაბაში.
— ჟოდა, მიდი სიამართან. დაუტყვი. სანამ ყიზლარდან გადმოხვალ, აილე და შენი ჯალაბობა მიულალე. არ გიჯობს? საქმეზე გულს არ აიყრი.

— მეც მაგას არ ვაპირობ! შესარიგებლათ უფრო ნამოველ. ცალკე ცოლი აღარ მასვენებს. ნერილი მამწერა, ნერილი, რო...

დაბა რომ გამოჩნდა, ანრიალდა. ერთი სული შექონდა, საავადმყოფოში მივარდნილიყო და ცოლ-შვილისათვის დაეხედა. მაინც სასადილოსთან გააჩერებინა მანქანა, დასხდნენ. ილოცებოდა იასონა:

— ბიჭი გაგზავრდოს. ჯანი მთელი მისცეს ღმერთმა, გული — მართალი.

სიამართან შერიგებისაც დალიეს, ძმა-ბიჭობისაც, რა ვიცი, სადღეგრძელოები დაეულოდათ? რომ შეტყვიკიდნენ, იმაზე დაობდნენ, რა ევიდა ცოლისათვის. ჩემი ბიჭი რო განცდაო, იასონამ, — ავდექი და ყელსაბამი ვუყვიდეო. ეგ ისეთი რამე ყოფილა, თურმე ყველა ქალს მოსწონსო. აქესო, ამან უთხრა, გიგლამ. მაშინ ყველაფერს ისა სჯობია, საათი უყიდო თავის სამაჯურითაო. ვგეცა აქესო. მაშინ ნითელთვლიანი ბეჭედიო. ბეჭედეიცა აქესო. ეგ კი არა, ამ ზაფხულ პიანინო აუტანე სოფელში, ისე აუტანე, გასახარებლად, დაკვრა კი არ იცისო. მაშინ ადექი და ბიჭს უყიდე ველოსიპედი, ან მანქანა, ეგება სულაც შოფერი გამოვიდესო.

შეზარხოშებული მიადგა სიამარის სახლს. გამოეგება სიდედრი, გალულ სონას თვალბეში იმოდენა სითბო და სიხარული ედგა, გული აუჩვილდა გიგლას. მისხდნენ ალულუნებულ ღუმელთან. ატყვიკიდებულ ფიჭვის შემას ნითლად გაუდიოდა ბდეგრიალი. შინაურულად, დედა-შვილურად გააბეს ლაპარაკი. და ამან იკითხა:

— სიამარი სადა ბრძანდება?
— ისაკასთან გადავიდა. ძროხა დავაკალით.

ბრუცელოზი აქო, ვეტექიმმა, ცნობა არ მოგვცა. საითმე უნდა წაიღოს.

— რა...

თვალი აარიდა სიდედრმა. — თითქოს მდულარე გადასხესო. სახე აენჭა, აილენა. ხმა არ გაულია. ეგრეთვე, უტყაპუჭოდ, უქუდოდ ჩავიდა სარდაფში. ტილოფში გამოხვეული დაკლული ძროხა იქვე დახვდა. იმ ძროხასაც, ტომარაში ჩატენილ თავ-ფეხსა და გულღვიძლსაც, ყველაფერს ერთად დაავლო ხელი და ზურგზე მოიგდო.

— შვილო... შვილო... — შეშინებული მისდევდა სიდედრი. — სად მიგაქ, წელი არ მაინყვიტო. ტარკით გადაიტანს. თვითონ მოუვლის.

ყურიც არ შეუბერტყია. გალომებული მიალავდა. მშრალ, წაყინულ თოვლს ფეხქვეშ ხრამი-ხრამში გაუდიოდა. უნივერსიტეტის ქსნისკენ გადაუხვია. მიდიოდა და თოვლში მძიმე, ვეება ნაფეხურებსა სტოვებდა. ცივი, გაყინული ქსანი შავად მორღვეულ კალაპოტში ჩანოლილიყო და საძილედ გამზადებული ნანას მიიმღეროდა. ჩავიდა ნაპირზე და ის ტომარა, ცვესლწაკიდებულისით ზურგს რომ სწვავდა, ყინვისაგან აძაგაძაგებულ ლოდთან, შიგ მორევში მოისროლა. იდგა და უყურებდა, როგორ შემოხვია მდინარემ ტალღები იმ უცხო ტირით, მკერდში ჩაიკრა და რონინით წაიღო...

თებერვლის ისედაც მოკლე. ჩამობურული დღე ისე ერთბაშად მოიტაცა ბინდმა, გაუკვირდა, რა დრო გასულაო, საავადმყოფოსაკენ მიმავალ გზაზე მიდიოდა და ავდრის მერე მოდარებული ცასავით ეხსნებოდა შუბლი. სიმშვიდე ეპარებოდა ნება-ნება, შეუმჩნევლად უჯდებოდა ტანში, აზრები ულაგდებოდა და უკვე სევდაგანელებული ფიქრი წელანდელივით სველი, ღორწილიანი ნურბელასავით აღარ ეჯდა გულზე. ყურში ბიჭის ჩხაილი ედგა და ის ხმა ნაბიჯ-ნაბიჯ მატებდა მხნეობას.



მილიციის კაპიტანი

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“ რუბენ ფერაძე გაზეთის მორიგ წომერს ამზადებდა, როცა პარტიკოში გამოიძახეს.

მ. აულოდნელობაც ამას მქვია! საფაბრიკო გაზეთის ლიტერატურული თანამშრომელი იყო და მილიციის ორგანოში სამუშაოდ იწვევდნენ.

მინვევასაც ჰქონდა თავისი საფუძველი.

იმხანად შინაგან საქმეთა სამმართველოს ინიციატივით ჩატარდა მასობრივი ღონისძიება, რომელიც თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას მიეძღვნა.

„ისანის“ ფეხსაცმლის ფაბრიკიდან ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად რუბენ ფერაძე გაგზავნეს.

ისახელა თავი. ორგანიზატორული ნიჭიც გამოიჩინა და ოპერატიულობაც. არც საზოგადოებრივი წესრიგის დაზარალებების შემდრკალა.

მთავარი მაინც სხვა იყო. პროფესიით ჟურნალისტს რუბენ ფერაძეს საოცრად თბილი, შთამბეჭდავი და ლოგიკური მსჯელობა ჰქონდა. მან შეძლო, მოხერხებულად შეეჩერებინა და მოეთვინიერებინა წესრიგის აღვირახსნილი დაზარალებები.

თბილისის შინაგან საქმეთა სამმ...

მართველომ და 26 კომისრის რაიონის პარტიის რაიკომმა ერთხმად აღნიშნეს რუბენ ფერაძის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მასობრივი ღონისძიების ჩატარებაში.

ყოფილ რიგით მუშას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, პარტიის წევრს რუბენ ფერაძეს ფაბრიკა „ისანი“ ნდობას უცხადებდა და საგზურს აძლევდა შინაგან საქმეთა სამინისტროში სამუშაოდ.

ნდობას გამართლება სჭირდება. მალე ათი წელი შესრულდება, რაც რუბენ ფერაძე მილიციის ორგანოში მუშაობს. საქმემან შენმა გამოგაჩინოსო. აკი გამოაჩინა კიდევ. იგი დღეს წყალმომარაგებით ნაგებობათა დაცვის მეთაურის მოადგილე პოლიტელმზრდელობით დარგში. მილიციის კაპიტანს რუბენ ფერაძეს მრავალი ჯილდო და მადლობა აქვს მიღე...

ბული. იგი „წარჩინებული მილიციელის“ სამკერდე ნიშანს ატარებს.

ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათში გაუტყეველი ჩვეისტური წრთობის გამომუშავება, საქმის ერთგულება, სამსობლოსადმი დიდი სიყვარული, — აი, ეს არის რუბენ ფერაძის საქმიანობის ძირითადი არსი.

იგი ხშირად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვადასხვა ღონისძიებაშიც მონაწილეობს. ეს მაშინ, როცა დიდი სპორტული, მასობრივი-პოლიტიკური თუ სადღესასწაულო ზემიები ტარდება.

დრო ცოტა აქვს, მაგრამ მაინც იცლის მიუჯდეს სანერ მაგინდას...

რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში იშვიათად როდი შეხვედებით პროფესიონალის ალლოთი დაწერილ ნარკვევებს, ჩანახატებს, წერილებს, ლექსებს, რომლებსაც რუბენ ფერაძე აწერს ხელს.

გათენდება... ახალგაზრდა, მხნე და ხალისიანი კაპიტანი ჩქარი ნაბიჯით მიეშურება თავისი საპატიო მოვალეობის შესასრულებლად.

როცა ჩვენი გაქვს მოსაგონარი

არ არის აუცილებელი მის შესახებ ყველაფერი იცოდეთ. სრულიად შემთხვევით შეხვდებით „ზარია ვოსტოკას“ შენობის რომელიმე დერეფანში, კიბეზე, ქუჩაში... მაშინვე გამოარჩევთ ყველასაგან დარბაისელ მამაკაცს. იგი მოზომილი ნაბიჯებით დადის. თითქოს რვა ათეული წელი კი არ ამიძმებს, უფრო ახალისებს, აამაყებს კიდევ... თუ გაესაუბრებით, ისე კეთილად გაგიღიმებთ, უმალ დაიპყრობს თქვენს გულს.

ნოკო (სერგო) ჩაჩიბაიას ცხოვრების გზა თავისებურად დაიწყო და მას შემდეგ ისე გალია თითქმის შვიდი ათეული წელი, ორი დღეც არ ჰქონია ერთმანეთის მსგავსი, მოსაწყენი. თვითონ განსაჯეთ, იოლი როდია, ადამიანს ერთის მხრივ მთავარი ბუღალტრისა თუ საგვგამო, შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგის პასუხსაგები პოსტი ეჭიროს და მეორე მხრივ ხელოვნების თავგამოდებული მსახური იყოს. ყოველივე ეს დიდ შრომას, ენერგიას, ნებისყოფას და ბუნებრივ ნიჭს მოითხოვს. თვითონ პატივცემული ნოკო ფიქრობს, რომ დასაწყისში სწორედ შრომისმოყვარეობით მიიქცია აღმზრდელთა ყურადღება და ასე იგონებს იმ დაუფინყარ დღეებს:

— ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის მომღერალ-მგალობელთა გუნდში რომ ჩამრიცხეს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩვენი სიმღერის მასწავლებელი ვალერიან გეგეჭკორი მოხდენილად რომ ჩამოგვივლიდა ბავშვებს და თავისთან მიგვიხმობდა, მაშინ იწყებოდა ჩემს სულში ზემი...

ალბათ ამიტომაც შენიშნა მალე გულისხმიერმა აღმზრდელმა მას ბუნებრივი გატაცება და შემდეგ ყურადღება აღარ მოაკლო. და დაიწყო დაძაბული შრომა. შრომა პედაგოგიურ ტექნიკუმში (სასულიერო სასწავლებელი მალე ტექნიკუმად გადაკეთდა) საგნების დაუფლებისათვის, ხმის სრულყოფისათვის.

სრულიად ახალგაზრდა მომღერალი საქართველოს რომელ კუთხეში არ ყოფილა საგასტროლოდ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ახალსენაკის ხალხური სიმღერების გუნდში ირიცხებოდა. მერე, როცა თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ლოლუას სახელობის დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის გუნდს დაუკავშირდა და თხუთმეტი წლის მანძილზე მისი ნამყვანი მომღერალი და სოლისტი იყო.

...ძველ თანაგუნდელებს ბევრი მეგობარი გამოაკლდათ. თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ. მათი ნახვისას მაშინვე ცოცხლდება ძველი დღეები, სევდანარევი სიხარულით აუფორიაქდება გული და მოსწყურდება „ჩელას“, „ჰარიასა“ და „ცხენოსნურის“ ძველებური შეძახილი. მერე როგორ მოსწონდა ხალხს ეს სიმღერები მოსკოვსა თუ ლენინგრადში. ბაქოსა თუ კიევიში... ერთ სიცოცხლედ მარტო რომენ როლანთან შეხვედრა ღირს მაქსიმ გორკის ოჯახში. რა სიხარულით უბრწყინავდათ იმ საღამოს თვალები სტუმარსაც და მასპინძელსაც. უცხოელი მწერალი ქართული ხალხურ

რი სიმღერების ჯადომ მოხიბლა, გორკი კი დიდი ხნის მივიწყებულ მელოდიებთან შეხვედრამ ალაფრთოვანა, მოგონებებმა შეძრა...

საქართველოს ხელოვნების პირველი დეკადის დღეებია მოსკოვში. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ქართველ მომღერლებსა და მოცეკვავეებს მიესალმება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი. ყველგან ალტაცების ღიმილი, წარმატება. იმ დღეების ნათელი თან სდევს ნოკო ჩაჩიბაიას, ნათელი იმ ღამეში და ამალღებული შეხვედრებისა, რომლითაც ასე გამდიდრდა დეკადის თითოეული მონაწილის ბიოგრაფია.

შემოუსხდება ახლა ნოკო ჩაჩიბაიას სამი შვილიშვილი და სთხოვენ, ძველი ამბები მოგვიყვირო. უფროსები მერამდინედ ისმენენ ბაბუას მონაყოლს, მაინც ისეთი ხარბი, მოუთმენელი თვალევი აქვთ, თითქოს ყველაფერი პირველად ესმით. სულ უმცროსი სამი წლისაა, ბევრი არაფერი გაეგება, ამიტომაც უმალ ჩაეჭიდება რაიმე მისთვის „გასაგებ“ სიტყვას და მაშინვე კითხვებად იქცევა:

— რაო, ბაბუ, ლურჯი ხალათები გეცვათ?

ბაბუას გაელიმება, ალერსით გადაუსვამს თავზე ხელს და დადუმდება. აბა, როგორ აუხსნას ბავშვს, რა დიდ როლს თამაშობდა სანაგიტმუსიკალური ბრიგადა „ლურჯ-ხალათიანები“ ოცდაათიან წლებში. ან როგორ გამოჰყოს ყველაზე ძვირფასი დღეები. ის დრო გაიხსენოს, საქართველოს რესპუბლიკური პოლიგრაფიული მრეწველობის მუშეთა კავშირთან არსებულ ხალხური სიმღერების თვითმოქმედ ანსამბლს მთელი სული და გული რომ მისცა, როგორც ხელმძღვანელმა, თუ იმ წლებს მიანიჭოს უპირატესობა ელენე ჭუბაბრიას, ნიკო-



ლოზ ხეტიას და კოტე გოგიჩაძესთან ერთად (გიორგი ესებუას გიტარის თანხლებით) ქალაქური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს რომ ასრულებდა. ან იქნებ ნიკოლოზ შენგელაიასთან მუშაობა გაიხსენოს „ნარინჯის ველის“ გახმოვანებაზე...

დღე დღეს მისდევს. საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფოტოქრონიკის მთავარი ბუღალტერი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი ნოკო ჩაჩიბაია ნაკლები გრძნობით როდი იგონებს პოლიგრაფიულ საწარმოებში, საქართველოს რადიოკომიტეტში, კულტურის სამინისტროსა თუ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში დაძაბული შრომის დღეებს. თან დასძენს, ციფრებთან მუშაობასაც დიდი ხელოვნება სჭირდებაო...

საამაყო, როცა ადამიანს ცხოვრების შინაარსიანი გზა აქვს გავლილი, როცა ასე ბევრია მოსაგონარი.

ნათელა გიორგოპიანი

მონბათი შიბა ლოგუანიძის

ბარბაქანის პირველ და მეორე გვერდებზე: საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის თენგიზ საგონაძის კლაპატი.


გადიცა წარმოებას 19. X. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. XI. 82 წ., უე 05887, ქალაქის ზომა 70x1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტურა წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-ხაგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 49000, შეკვ. 2496, ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. კ. -ის გამომცემლობის სტამბა.



Еженедельный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-86, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-89, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის ხამდივნოსი — 99-54-86.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორის არ უბრუნდება



საქართველოს სამხედრო გზაზე



ფოტო სერგო ელიზარაშვილისა



0625360 76056


ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



დასაწყისი